სხდომის ჩატარების თარიღი: 25 ნოემბერი, 2021 წელი
სხდომის ჩატარების დრო და ადგილი: 12:00, ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N7

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის ტენდერების ჩატარების მიზნით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის 2021 წლის 19 ივლისის N526 ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის საჭიროებისთვის
სხვადასხვა დასახელების სამეურნეო საქონლის შესყიდვის ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მ/შ:

ივანე ჯაფარიძე	-	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

კომისიის წევრები:

ზურაბ წითლაური	-	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს უფროსი;
ანა გიორგობიანი	-	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლუკა ტყებუჩავა	-	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი;
ზაზა თაქთაქიშვილი	-	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

იზო კორძაძე	-	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი.

სხდომის დღის წესრიგი:
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ 2022 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჭიროებისათვის სხვადასხვა დასახელების სამეურნეო საქონლის შესყიდვის ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო განცხადებისა და სატენდერო პირობების დამტკიცება (CPV42100000 - დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის).

მოისმინეს:
კომისიის აპარატის წევრმა, მოახსენა კომისიის წევრებს, ადმინისტრაციული დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და შრომის უსაფრთხოების სამმართველოს მიერ ჩატარებული წინამოსამზადებელი სამუშაოების შესახებ, რომლის შესაბამისად, (ბაზრის კვლევის შედეგად) დადგინდა შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულება. სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების და საბაზრო ფასთა კვლევის საფუძველზე განისაზღვრა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება 580.00 (ხუთას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების 2022 წლის წლიური გეგმის შესაბამისად CPV42100000 კოდზე განსაზღვრულია ელექტრონული ტენდერის პროცედურის განხორციელება ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 15[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად. სატენდერო კომისიას წარედგინა სატენდერო აპარატის მიერ მომზადებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადების და სატენდერო პირობების პროექტები.

აზრი გამოთქვეს:
სატენდერო კომისია დეტალურად გაეცნო როგორც სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებულ სატენდერო მასალებს, ასევე აპარატის ხელთ არსებულ ყველა სხვა ინფორმაციას და დოკუმენტებს.

სატენდერო კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული მასალები და აღნიშნულის საფუძველზე განაცხადეს, რომ ძირითადად ფასი შეესაბამება დღევანდელ რეალობას. აღნიშნული ფასი მიღებული იქნას საქონლის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილია, სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო განცხადების და სატენდერო პირობების გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

კენჭისყრის შედეგები:
კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა კომისიის წევრი დაეთანხმა განხილული საკითხის (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჭიროებისათვის სხვადასხვა დასახელების სამეურნეო საქონლის შესყიდვა) სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცებას წარმოდგენილი ფორმით.

დაადგინეს:

- ✓ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის შესაბამისად დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი სატენდერო პირობების პროექტი.

- ✓ დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განათავსოს სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია.

- ✓ კომისიის აპარატს დაევალოს განცხადების შესაბამისი წესით გამოქვეყნების უზრუნველყოფა არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

კომისიის თავმჯდომარის მ/შ:

1. ივანე ჯაფარიძე ----------

კომისიის წევრები:

2. ზურაბ წითლაური ----------
3. ანა გიორგობიანი ----------
4. ლუკა ტყებუჩავა ----------
5. ზაზა თაქთაქიშვილი ----------

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

6. იზო კორძაძე ----------